№ 95 6 მაისს, ქვირა 1866—1879 6 მაისს, ქვირა № 95

დროება

ᲣᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дрѳба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 ან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ფოთლებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდებ.

ტელეგრამები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 4 მაისს. მოსკოვის ქალაქის რჩევამ ოლენბურღის გადამწვრების სასარგებლოდ 10,000 მანეთი შესწირა.

სტამბოლი, 3 მაისს. აქ მოვიდა ღენერალი სტოლიპინი. ინგლისის კაროლლევამ ვიქტორიამ გამოუგზავნა ხონთქარს თავის სურათი საკუთარის ხელით დაწერილის წიგნით, რომელშიაც გამოცხადებულია სურვილი, რომ ინგლისსა და ოსმალეთს შუა მუდამ კეთილი განწყობილობა და მეგობრობა იყვეს დამყარებულიო.

ბერლინი, 3 მაისს. აქ გავრცელდა ხმა, ეითომც ავსტრია სამუდამოთ აპირებს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შეერთებას თავის სახელმწიფოსთან.

ბუხარესტი, 3 მაისს. რუსეთსა და რუმინიას შუა მისვლა-მოსვლა და საქონლის გზავნა-მიღება თავისუფალია; კარანტინი მოისპო.

ვენა, 3 მაისს. ბრაფი ანდრასი ხანგრძლივის ვადით დაეთხოვა სამსახურს.

რომი, 3 მაისს. ბარიბალდი ძალიან ავათ არის; ექიმებს ეშვი აქვთ იმის მოარჩენისა.

ასტრახანი, 3 მაისს. დღეს გაიხსნა აქ ზღვის ნაპირას კარანტინი; სპარსეთიდამ მომავალი გემები სამი დღის განმავლობაში კარანტინში უნდა დარჩენ. პასაჟირები კი ექიმებმა უნდა შეამოწმონ.

პეტერბურღის ბირჟა, 3 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	—	97— „
მეორე— — — — — —	—	96— „
მესამესი — — — —	95—	87
მეოთხესი — — — —	96—	„
აღმოსავლეთის პირ. —	93—	75
აღმოსავლეთის მეორე—	94—	„
ოქრო, ½ იმპერიალი —	8—	58
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი—	—	„— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	242—	50
მეორე სესხის — — —	237—	50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23—	„ პენსი
ამსტერდამი— —	115	62 ცენტი
ბერლინი— — —	—194	პფენიგი
პარიჟი — — —	—242	სანტიმი
კავკასიის კერასინი	—	„ — „

საქართველო

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲙᲠᲔᲓᲐ

28 აპრილს.

(ბაგრძელება)

უ. ნიკ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ნებას იღებს თავმჯდომარისაგან ჰსთქვას სიტყვა. საზოგადოებაში დიდი ხმაურობაა. ბოლოს უფ. ნ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ იწყებს სიტყვას:

„ნება მიბოძეთ, ბატონებო, მოგახსენოთ რამოდენიმე სიტყვა ვითარცა წევრმა თქვენის საზოგადოებისამ და ვითარცა წარმომადგენელიმა იმ საზოგადოებისა, რომლის თხოვნა ეს არის მოგახსენათ უფ. თავმჯდომარემ ზედამხედველის კომიტეტისამ.

„ჩვენ შორის, პატივცემულნო წევრნო საადგილ-მამულო ბანკის საზოგადოებისა, მრავალ საგანზედ ზოგი ერთი ჰაზრისა არის, ზოგი მეორე ჰაზრისა; ზოგი ჩვენთაგანი ერთ პარტიას ეკუთნის, ზოგი მეორეს. მრავალ საგანში ბაასი მოგვსვლია ერთმანეთთან და მრავალ საგანზედ კიდევ მოგვიეა ბაასი და ჰაზრებით ბრძოლა ერთმანეთთან.

„მაგრამ ერთი საგანი არის, მაღალი. ხარისხის საგანი, უაღრესი საგანი—ერთი ჰაზრი არის დიდი და მაღალი ჰაზრი, რომლის წინაშე ჩვენ სუყველანი ძმურად და ამხანაგურათ ერთ-ხმით ვაცხადებთ საქვეყნოთ სვენს თანხმობას და რომელიც ჩვენ, სხვა საგნებზედ უთანახმოებს, შეგვაერთებს ერთ დასათ. ეს ჰაზრი არის—ჰაზრი სწავლის საჭიროებისა განათლების მნიშვნელობისა, ყმაწვილების აღზრდის მოთხოვნილებისა.

„ჩვენ, ბატონებო, ვინც დღეს ვართ აქ შეკრებილნი, სუყველანი ვგრძობთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლას, ყმაწვილების აღზრდას ჩვენის ქვეყნისათვის. ბევსმის, რომ, თუ აწინდელი, ანუ უკეთ ვსთქვათ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ჩვენს მხნეობაზედ არის დიმოკიდებული,—მომავალ ბედს ანუ უბედობას ჩვენის ქვეყანისას, საქართველოს ამერ-იმერთა ერისას უნდა მოველოდეთ იმ თაობისაგან, რომელიც დღეს იზრდება და სწავლობს სასწავლებელში. ჩვენი ქვეყნის წარმატება დამყარებულია ჩვენი შვილების წარმატებაზედ. საძირკველი ქართველთა ერის წარმატებისა დამყარებულია ყმაწვილების აღზრდაზედ და სწავლებაზედ.

„ამიტომაც ისრე აფასებს ჩვენში საზოგადოება და მრთელი ხალხი სწავლას და ყმაწვილების აღზრდას. რომელი მამა არ ცდილობს ჩვენში, თუ კი რაიმე ღონის-ძიება აქვს, მიიბაროს შვილი სასწავლებელში? რომელი დედა არ ღვრის ცრემლს, თუ რამე მიზეზით ვერ მოახერხა შვილის გამოზრდა? რომელი ბაშვი არ ელტვის წერა-კითხვის შესწავლას ან კლასში შესვლას? ᲐᲗᲐᲡᲨᲘ ერთი! დიდიდამ პატარამდე, მდიდრიდამ ღარიბამდე, მოხუციდამ ბალანამდე სუყველა გრძნობს ამ ჩვენს ქვეყანაში იმერეთში სწავლის საჭიროებას. რაც კი სასწავლებელია, გიმნაზიიდამ მოყოლებული უკინასკნელ სოფლურ შკოლამდინ, გატენილია მოსწავლე ყმაწვილებით. ამისთანა ქვეყანა, სადაც ამისთანა მოთხოვნილება, ამისთანა წყურვილი სჩანს სწავლისა და განათლებისა, მორს წაიწევს და არ წახდება.

„მაგრამ დღეს ვგონებ მთელს დედამიწაზედ არ მოიპოებოდეს იმისთანა კუთხე ქვეყნისა, სადაც ამისთანა წყურვილი სწავლისა და განათლებისა ასე ნაკლებად, ასე სუსტად იყოს დაკმაყოფილებული. რას ეხედავთ ჩვენა! უმეტესი ნაწილი სწავლის მწყურვალთა სასწავლებლებს გარეთ რჩება, რადგანაც სასწავლებლებიც ნაკლებად გვაქვს, და რაც კი გვაქვს, გაჭედილია მოწაფეებით ასე რომ სასწავლებლებში შესვლის მსურველთა რიცხვიდამ არა თუ ნახევარი მეათედი ნაწილიც ძლივს შედის, ადგილის უქონლობის გამო. რამდენ დედას მიყავს ყოველ წელიწადს უკან სახლში კვნესით და ტირილით, შვილი, რომელიც ვერ შეიყვანა სასწავლებლებში! რამდენი მამა დღესაც გულ დამწვარი უყურებს თავის შვილს, უსწავლოთ დარჩენილს, მხოლოთ იმ მიზეზით, რომ ყმაწვილების სწავლა და აღზრდა მეტად გამწარებულია, სასწავლებლების მცირედის რიცხვის მიზეზით!

„ბედი სასწავლებლებში შესვლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოტას აქვს; მაგრამ ვისაც კი აქვს ეე ბედი და ვინც კი ერთხელ მოახერხა სასწავლებელში შესვლა, განა მართლა ბედნიერია? რამდენი წვალება და ვაი-ვაგლახი უნდა გამოიაროს ბავშვმა სწავლის დროს სიღარიბის გამო! როგორ გაუმაგრდეს ჩვილი აგებულება მოსწავლე ყმაწვილისა ამ წვალებას და ტანჯვას, რომელიც მოსდევს სიღარიბეს.? და აგერ ეხედავთ, რომ ბევრიც სტოვებს სწავლას შუა გზაზედ, ბევრი შუა გზამდინაც ვერ აღწევს. ეს ხომ ყველამ ვიცით, რომ რამდენიც იწყებს პირველი კლასსიდამ სწავლას, იმათ რიცხვის მეათედიც დიდის გაჭირებით ათავებს სწავლას.

„დავეხმაროთ, პატივცემულნო წევრნო საზოგადოებისანო, მამანო მოსწავლე შვილთა, დავეხმაროთ მდიდარმაც და ღარიბმაც, დიდმაც და პატარამაც იმ საცოდავ ბავშვებს, რომელნიც ქორფა სიყრმიდგანვე იძულებულნი არიან თავისი პაწაწინა აგებულებით ებრძოლონ სიღარიბეს, გაჭირებას და სხვა-დასხვა დამჩაგვრელს გარემოებას, რომელსაც ზოგჯერ ზოგი ვაჟი-კაცი ვერ გაუმაგრდება. შეუმსუბუქოთ ჩვენსა და ჩვენთა მეზობელთ შვილებს, ან უნცროსს ძმებს ბრძოლა სიღარიბესთან. ბაჭირება და სიღარიბე მრავალს ქორფა შვილს ჩვენი ქვეყნისას პირქვე ამხობს და გზას უკვეთს წარმატებისას იმ დროს, როდესაც თავის პატარა ხელებით თავის პატარა წიგნს იღებს და იწყებს მის კითხვას შესასწავლებლად ხვალინდელის გაკვეთილისა. მივეშველოთ, პატივცემულნო, ამ ბავშვებს!

„ᲐᲮᲐᲗᲘᲡ შესაწევნელად არის დაფუძნებული ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ საზოგადოება, მთავრობისაგან დამტკიცებული. ჯერ ერთი წელიწადი არ არის, რაც ეს საზოგადოება სუფევს, მაგრამ ათას მანათზედ მეტი დაურიგა ღარიბს მოწაფეებს ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ სასწავლებლებისა. მიზნად აქვს ამ საზოგადოებას შემწეობა მისცეს ფულით, სასწავლო წიგნებით, ტანთ-საცმელით ყოველს ღარიბს მოსწავლე ყმაწვილს ქ. ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ. ᲐᲛ საზოგადოების გამგებელი კომიტეტი მეცადინეობს რაც შეიძლება მოიპოვოს ღონის-ძიება ღარიბი ყმაწვილების დახმარებისა. ᲗᲥᲕᲔᲜᲡ შორის არიან, ბატონებო, მონაწილენი ამ საზოგადოების.

„ᲐᲮᲚᲐ ის საზოგადოება მოგმართავს თქვენ თხოვნას, შესწიროთ იმ კეთილის მიზნისათვის, რომელიც მოგახსენეთ, რაოდენიმე ფული, რამდენსაც თქვენ გამოიმეტებთ. რასაც შესწირავთ თქვენ ამ მიზნისათვის, გამგებელი კომიტეტი იმ საზოგადოებისა მოახმარს ისევ თქვენსავე შვილებს და თქვენისავე მოძმეთა შვილებს.

„ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲗ იმ საზოგადოებისა ანუ პრედსედატლათ არის ეპისკოპოზი ᲑᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘ. ᲑᲐᲜᲛᲒᲔᲑᲔᲚ კომიტეტს შეადგენს თექვსმეტი პირი: რვა მათგანი არის ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ თვითონ საზოგადოებისაგან და რვა არის დეპუტატად გამოგზავნილნი ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ოთხი სასწავლებლისაგან: წევრთა შორის განმგებელის კომიტეტისა იყო ჩვენი ბანკის განსვენებული მმართველი ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ; დღეს წევრნი კომიტეტისა არიან: ინსპექტორი პროგიმნაზიისა ᲘᲣᲓᲘᲜᲘ, ᲔᲚᲩᲣᲙᲝᲕᲘ, ᲡᲕᲘᲛᲝᲜ ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲐᲜᲢ. ᲚᲝᲠᲗᲘᲤᲘᲐᲜᲘᲫᲔ, ᲙᲜᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔ ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ, ᲐᲜᲜᲐ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲝᲕᲘᲡᲐ, მღვდელი მაჭავარიანი და მე. ᲩᲕᲔᲜ გთხოვთ, ბატონებო, შესწიროთ რამდენსაც გამოიმეტებთ იმ საქმისათვის, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ზედამხედველი კომიტეტი ფიქრობს ათასი მანეთი იყოს საკმარისი, რომ შესწიროთ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ზედამხედველს კომიტეტს ნება არა აქვს სიუხვე გამოიჩინოს, ის არ არის პატრონი თქვენი ფულისა! ᲗᲥᲕᲔᲜ ნება გაქვთ სულგრ ძალება გამოიჩინოთ კეთილის საქმისათვის, სიუხვე გამოიჩინოთ და თქვენს სულ-გრძელებას მივმართავ მე ჩემს თხოვნას და იმ საზოგადოების თხოვნას: მიიღეთ ყურადღებაში ჩვენი მოსწავლე ყმაწვილების საცოდავობა, იფიქრეთ, რა მიზეზია, რომ რაც ყმაწვილები იწყებენ სწავლას, იმათი მეათედიც ვერ ათავებს სწავლას. წარმოიდგინეთ, რა უღმერთოთ სძლევს ჩჩვილს ყმაწვილებს სიღარიბე და გაჭირება და რა უბედურობაა მთელი ქვეყნისათვის ამ ჩვენი მტერის სიღარიბის ბრძოლა ქორფა ბავშებთან, და თუ გვენდობით ჩვენ მთელს საზოგადოებას, მოსწავლეთა შეწევნას მოწადინებულს, დაგვინიშნეთ ორას თუმნამდინ...“

ᲣᲤ. ᲜᲘᲙᲝ ᲖᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ სიტყვამ სრულიად ვერა გაარიგა-რა. საზოგადოებას მთლათ დაეკარგა მოთმინება; კინაღამ სული წაუვიდა, სანამ ᲖᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ სიტყვა გათავდებოდა. ᲑᲝᲚᲝᲡ შეიქნა დიდი ხმაურობა. ᲫᲘᲓᲔᲕ უარი ᲮᲐᲠᲯᲖᲔ.

ᲡᲮᲓᲝᲛᲐ დაიხურა მე-4 საათის ნახევარზე.

ᲧᲕᲔᲚᲐ კითხვები შესახებ დახარჯვისა საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნულ ფულისა გადიდეა ხვალ დილის 10 საათამდის.

Ა. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲩᲕᲔᲜᲡ გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ თავად-აზნაურთა კრებამ გადაწყვიტა უმაღლესს მთავრობასთან იშუამდგომლოს, რომ ჩვენი მეფეებისა და მამა-პაპების მეოხებით აშენებული ძველი მონასტერი ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡᲐ და ᲐᲗᲝᲜᲘᲡ მთისა, რომელიც ამ ჟამად ბერძნებს ჩაუვარდათ ხელში, ისევ ჩვენ დაგვიბრუნდეს; თავად-აზნაურობამ ითხოვა აგრეთვე, რომ რაც საქართველოში ამ მონასტრებს შეძოსავალი აქვს (ამბობენ, წელიწადში ოთხი ათას თუმანზე მეტია), ის შემოსავალი, რომელიც ახლა ბერძნებს მიაქვს, გარდაეცეს, სულ თუ არა, ერთი წილი მაინც ქართველ ბერებს ᲐᲗᲝᲜᲘᲡ მთაზე და ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ და დანარჩენის ისევ ჩვენ შეგვეძლება რომელიმე საზოგადო საქმეებისათვის მოხმარებაო.

ᲐᲗᲝᲜᲘᲡ მთიდამ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲛᲐ ᲑᲔᲠᲛᲐ Მ. ᲕᲔᲜᲔᲓᲘᲥᲢᲔᲛ გარდმოგვცა ჩვენ რამდენიმე ბარათი, რომელიც იმას მოსვლია ამ მოკლე ხანში ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ქართველ ბერებისაგან. ᲐᲛ ბარათებში იწერებიან ისინი—თუ რა გაჭირებულ და შეევიწროებულ მდგომარეობაში არიან ბერძნებისაგან, თხოულობენ, რომ ქართველ საზოგადოებამ და რუსის მთავრობამ დაეხმაროს იმათ და არ დაუკარგონ საქართველოს მონასტრები და ამ მონასტერში მყოფი ბევრი ძვირფასი ნივთები და ბიბლიოთეკა, რომელიც ჩვენი მამა-პაპათაგან არის შეწირული და მონაღვაწია.

ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, რომ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ თავად-აზნაურობაც ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ კრების თანახმად, ისიც გარდაწყვეტს, რომ ამ საგნის შესახებ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე.

*** ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახაზინო პალატა უცხადებს ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ყველა ვაჭრებსა და სხვა-და-სხვა სახელოსნოების პატრონებს, რომ ამ მაისის 5-დამ იწყება გაჩხრეკა ყველა მაღაზიებისა, დუქნებისა, ქარხნებისა და სახელოსნოებისა, თუ რა უფლებით ვაჭრობენ ისინი, რა ბილეთი აქვთ და სხვ. ᲐᲛ გაჩხრეკას მოახდენენ პალატისაგან და ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ�გᲐᲜ დანიშნული ჩინოვნიკები.

*** სამეგრელოდამ, სახელდობრ ზუგდიდის მაზრიდამ, გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროში იქითკენ ხელ-ახლად გახშირებულა ქურდობა და ცუდ-კაცობა. ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ამბობს, რომ ჩვენს უეზდში ახალი მაზრის უფროსი ინიშნებაო. და იმედი გვაქვსო, რომ ის, თუ ენერგიულად მოიქცა, ამ ქურდობას, თუ არ მოსპობს, შეამცირებს მაინცო.

*** ᲩᲕᲔᲜ მივიღეთ ᲑᲣᲠᲘᲘᲓᲐᲛ წერილი, რომლითაც გვატყობინებენ, რომ ამ მხრის ზოგიერთს სოფლებში ძალიან გახშირებულა ზოგიერთი სნეულობა, რომლისგანაც ბევრი ხალხი იხოცებაო. ᲝᲠᲘ-სამი დღის განმავალობაში არიან ავათ და შემდეგ კვდებიანო, ზოგიერთი კი რამდენიმე საათში თავდებაო. ᲔᲡ ავათმყოფობა, კორრესპონდენტის სიტყვით, პირველი ნახვაა ᲑᲣᲠᲘᲘᲨᲘ, დღემდინ ამგვარი სნეულობა აქეთკენ არასოდეს არ ყოფილა, ამბობენო, რომ ტიფი (საოფლე) უნდა იყოსო. ᲐᲛᲐᲡ გარდა ყვავილიც გახშირებულია თურმე ამ ჟამად ᲑᲣᲠᲘᲘᲨᲘ.

ᲣᲩᲘᲕᲘᲐᲜ ექიმისა და ფერშლის უყოლობას.

*** სია საქმეებისა, რომელიც უნდა განიხილოს ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐᲛ ხვალ, 7 მაისს:

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ პირობისა, რომლითაც უნდა შეეკრას ᲗᲤ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ინჟინერებს ᲣᲛᲐᲜᲡᲙᲘᲡ, ᲖᲐᲛᲘᲐᲢᲘᲜᲘᲡᲐ და ᲞᲝᲞᲝᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲘᲡᲐ და წყლის-გაყვანის შესახებ;

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ შტატებზედ;

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐᲜᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოებაზედ იმ ადგილის მაგიერად, რომელიც ქუჩამ დაიჭირა;

აზრი უფ. სტ. ზარაფოვისა, რომ ქალაქის რჩევამ ორჯელ განხილვის შემდეგ მიიღოს ზოგიერთი მძიმე გარდაწყვეტილება;

წინადადება უფ. ბებუთოვისა, ქალაქმა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშეო, რომ თფილისის რეალურ სასწავლებელში კურს-შესრულებული ყმაწვილი კაცები მიიღონ რუსეთის უნივერსიტეტების ფიზიკო-მათემატიკურსა და მედიცინის ფაკულტეტებზე და სხვ.

ორიოდე შენიშვნა *)

(წერილი რედაქციაში)

შესანიშნავს და საინტერესო მოვლენებას წარმოგვიდგენს ახლანდელი ჩვენი მოწინავე საზოგადოება, კეთილშობილური ინტელიგენცია. უცხო და უცნაურ კაცს პირველ დაცქერაში ეჩვენება, ვითომც მაში რაღაც პარტიებია, რაღაც წრეები; ეჩვენება, ვითომც ამ პარტიებს რაღაც თავიანთი დროშებიცა აქვსთ, თავიანთი აზრები, მიმართულებანი.

თუ ეს ასე იყოს, ეს მოვლენა კარგი რამ იქნებოდა, ეს იქნებოდა ნაბიჯი წინ; აქედან კაცი გამოიყვანდა დასკვნას, რომ ჩვენში გონებით ცხოვრებას ფართო გზა ეძლევა; მოაზრე და მოწინავე პირნი თავთავის გრძნობა-გონებას სჩხრეკავენ, თავის მიზნებს აკვირდებიან და საშუალებათ სწონავენ, რომ ისინი თავის მოქმედებას აყენებენ ერთ გამოკვლეულ და გარჩეულ გზაზედ, რომ იმათ თავისი მიმართულებანი ესმისთ...

მაგრამ ყველა ეს არის ნაყოფი პირველ დაცქერისა. როცა კარგად დავაკვირდებით, როცა გავიგებთ ნამდვილად უმთავრეს აზრს ამ პარტიებისას, გავიგებთ ცხადათ მათ მიზნებს,—ჩვენ გონებას სულ სხვა ნაირი სურათი წარმოუდგება; ჩვენ დავრჩებით გაშტერებულნი.

ჩვენ მაშინ შევიტყობთ, რომ აქ არავითარი გარკვეული პარტიები არ არიან. მსენი არიან რაღაც წვრილმანების მკრეფელნი, ჭორების ბუდეები, პოლიტიკანები, უსარგებლო ყბედობაში დროების მატარებელნი. რომ დაცქერდეთ თვითეულს ამათგანს, რომელთანაც გქონიათ ცნობა გუშინ ან გუშინწინ, თქვენ გაგიკვირდებათ, თუ რა გვარ ხელოვნურათ მოჰქნის კაცი თავის გონებითს და ზნეობით ძალებს, რა ნაირათ გრეხს და ატრიალებს მათ ყოველ მხარეს, რა ნაირათ ამორჩილებს სხვა-და-სხვა მიმართულების პირთ. ის, რასაც გუშინ მხურვალე იმედით ელტოდა, მტკიცე რწმენებით ეღაღადებოდა, რასაც მუხლმოდრეკით პატივსა სცემდა,—ამას დღეს, როგორც ეკალს, ისე ერიდება, იძულებს, სწყევლის, აფუთხებს, ჰფლავს ტალახში და ზედ წიხლით სდგება...

ამ გვარი ზნეობითი სისუსტე და სიყალბე, გონებითი სიფუტურე და სილაყე ისე ხშირი მოვლენებაა ჩვენ ცხოვრებაში, ჩვენ მოწინავე საზოგადოებაში, რომ რაღაც ჩვეულებრივად და კანონიერად მიაჩნია ყველას. ჩვენ მივაჩვიეთ ამას თვალები, ყურები, მივაჩვიეთ ჩვენი გონება, შემოვფარგლეთ ჩვენ გარშემო ერთი წრე, რომელშიაც ფაცა-ფუცი, უსარგებლო და უნაყოფო, რაღაც ქვეყვის სამკურნალოთ მიგვაჩნია.

ეს წრე შეადგენს რაღაც მამულის შვილების სამსჯავროს, საცა იშინჯებიან და ფასდებიან საქმენი ყოველთ მოქმედთ და მოაზრეთ, ყოველთ ხალხისთვის მუშაკთ, საცა ჯილდოვდებიან და ისჯებიან, და თანხმად ამისა იწერებიან წიგნსა შინა ცხოვრებისასა... ვაი მას, ვინც დაარღვევს ამ წრეში მიღებულ კანონებს, ვინც შეეხება კრიტიკულათ იმ კულტებს, რომლებსაც პატივსა სცემენ და აღმერთებენ საზოგადობრივ—ლიტერატურულნი მსაჯულნი, ვინც სხვა კილოზედ დაიწყებს ბაასს, სხვა გზაზედ შესდგამს ფეხს!.. ვაი მას, ვინც არ შეაქებს იმ მოქმედ პირთ მამულის ერთგულათ, ვისაც ესენი აქებენ, ვინც არ შეაძაგებს მათ, რომელთაც ესენი აძაგებენ! ყოველი მათ კანონების გადამდეგი და უარის-მყოფელი მამულის ორგულთ დასში ჩაირიცხება, მოღალატე და მობეზღარი გახდება, ის იქნება სამშობლოს და ენის მოღალატე, სავნებელი მწვერი საზოგადოებისა...

ჰკითხეთ, ვინ ჩაბარა მათ ამ გვარი უფლება მოქმედთ პირთ დაფასებისა და დაჯილდოებისა, ვინ მისცა მათ ხელში ან მამულის დროშა, ან ახალი თაობისა. ისინი ვერაფერსაც ვერ გიპასუხებენ, მხოლოთ გიჩვენებენ თავის ნაწარმოებს-ნამოქმედარსა, თავის ღვაწლებს რომლებიც მათ შიუძეისთ მამულის წინ. რაში მდგომარეობს ეს ნაწარმოებნი, რა მისცეს მათ სამშობლოს და კაცობრიობას, რაში მდგომარეობს მათი ხალხის წინ ღვაწლები, რა აქვსთ მათ ნაწერ-ნამოქმედარს საზოგადო და საერთო ახალ თაობასთან?

ამ კითხვების გარჩევას დროებით მივანდობ თვით მკითხველებს. მე მხოლოდ ვიტყვი, რომ ამ მოქმედთ თავის ქეიფურ თაოსნობას და წინამძღომლობას არავითარი საფუძველი არა აქვს, მათი ნაწერ-ნამოქმედარი სრულებით ვერ შეეფარდება მათ პრეტენზიებს, სრულებით ვერ მისცემს საფუძველს, რომ მათ თავის თავს უყურონ როგორც მიწის მარილს, როგორც საზოგადოების მოძრაობის ბელადათ და მედროშეთ.

ჩვენ ხავს-მოკიდებული, მტკცეთ შემობოჭილი, გულ დაფუტურებული, მიძინებული და მიყრუებული საზოგადოება არის ის ჭაობი, რომელშიაც იბადებიან, სხვათა შორის, ზემოთ მოხსენებული პირები; ამ უკანასკნელთ არა აქვთ გამოკვლეული და გარკვეული თავისი მიზნები, გზა და საშუალებანი, ან ესა მიზნები არიან იმ გვარნი, რომ ყველა მიმართულების კაცს, ყველა ერთგულ ჩინოვნიკე შეუძლია გაბედვით სთქვას, რომ ისიცა სდევნის ამ მიზნებს, ისიც ელტვის ამ მიმართულებას,—ეროვნებისთვის, ხალხისთვის და საზოგადოებისთვის ამ გვარივე სასარგებლო მოქმედი პირი, მაშასადამე იმასაცა აქვს ნება, რომ დაერქვას პატრიოტიცა და ლიბერალიც.

ამ გვარი მიზნების დევნა და ამ გვარი საშუალების ხმარება არავისთვის საშიშო არ არის; ყველა მოწინავეს შეუძლიან საზოგადო საქმეც აკეთოს და ცხვარივით მორჩილი სამსახურის კაციც იყოს, საზოგადო ინტერესებსაც ემსახუროს და თავისი პიროვანი მდგომარეობა და კეთილდღეობაც დაიცვას, გააუმჯობესოს, გაამდიდროს.

ყველა ამ გვარი პირების სულიერი ძალადი დაყოფილნია სხვა-და-სხვა ნაწილებათ და ეს ნაწილები გაღობილნია ერთმანერთისაგან. ყველა ნაწილი თავის გვარად გავარჯიშებული და განვითარებულია, და მოქმედობს მაშინ, როდესაც მისი ჯერი დადგება. როდესაც შეხვდება ამ გვარი პირი ერთი მიმართულების პირს, მაშინ მოქმედობს მისი ერთი ნაწილი, როდესაც მეორი მიმართულებისას—მეორე; რა მიმართულების და გემოს კაციც შეხვდებათ, იმ გვარად სჯიან თვითეულ საგანზედაც.

ყველა ამ სხვა-და-სხვაობაში გამოსჩანს ერთი საზოგადო ნიშანი—ძალის და სიძლიერის მექონსთან სიმშვიდე და გემრიელობა. ერთმანერთსთანაც მშვიდობიანათ, შეურყეველათ, უბრძოლველათ ყოფნა, დადგინებული წესების პრინციპულათ დაცვა, შეურყეველობა; დაბალ მაღლობისა, უთანასწორობისა, გლეხ-აზნაურისა, ვაჭარ-გლეხისა კანონიერათ მიღება და დაცვა...

ამ გვარი პირნი, რასაკვირველია, უგზო-უკლოთ დაიწყებენ ხეტიალს, როგორც გზა-დაბნეული მგზავრი აფრიკის უდაბნოებში, თუ გამოვლენ ლიტერატურულ და საზოგადობრივ ასპარეზზედ. სიდუმილე და ჩუმათ ყოფნა, ყოველ შემთხვევაში მეტის-მეტი სიფრთხილე, თავისი გზის და მოქმედების ზომა და წონა: ხომ ნაბიჯს არა მოემატა-რაო, ხომ არავისთან მეტი არ წამცდაო, ხომ წყენით და გულნაკლულათ არავინ დამრჩა უფრო სუფთაგანიო—ყველა ეს ზომა და წონა, დამჯდრობა და გამოცდილობა, მოფიქრება და მოაზრება ზომიერება და უწყინლობა, სიმშვიდე და აუშფოთებლობა—უძღვის ამ გვარ პირთ წინ თავიანთ მოქმედებაში, თავიანთ ღვაწლში. ისინი ერთს ფეხსაც არ გადაბიჯებენ, თუ დაწვრილებით არ გაშინჯეს თავისი გასავალი გზა, არ გაშინჯეს ყოველი ბუჩქი, ბალახი, ქვა და კლდე.

და ამ გვარ სიფრთხილეში, თავისი გზის შინჯვაში, ზომიერებაში, ცოცვაში, თავის თავის ლაგმით ჭერაში, სხვისი დარიგებაში მათი საზოგადობრივი მოქმედება. ამათ ბევრი ნათელი აზრი შეუპარავია თავიანთ ყმაწვილობაში, ბევრს კეთილს და მაღალ ლტოლვილებას შეუპყრია მათი ნორჩი გონება და გული იმავე პერიოდში; მაგრამ ყველა ამ ნა-

*) მგეგმავთ ამ წერილს, თუმცა რედაქცია არ ეთანხმება ავტორისაგანგამოთქმულ ზოგიერთ აზრებსა და მსჯელობას. **რედ.**

თელს, მაღალს და კეთილს არ გაუდგამს მაგრა ფესვები მათ ბუნებაში, რადგანაც ეს ბუნება ყოფილა მოკლებული იმ გვარ ნიადაგს, რომელსაც შესძლებოდეს ამოყვავება და ამოფუფუნება ამ კეთილი თესლებისა.

რადგანაც ეს ნათელი აზრები და ლტოლვილებანი იმათ არ გასჯდომია ძველსა და რბილში, ამიტომ მომავალ მათ ცხოვრებას, გარემოებათა, დროთა ვითარებას, პრაკტიკულ ცხოვრებაში თავის ჩაფლვას—დაუხმავს ეს კეთილი მიმართულება, დაუფარებია მისთვის სქელი ქერქი ცხოვრების სილამაზისა, ზომიერებისა, ერთგულებისა, სიტკბოებისა, და დანარჩომი მიუმალია სადღაც შუა გულის წერტილში, ასე რომ გამჭრიახ გონებას შეუძლიან კიდე დაინახოს იქ ამობჟუტებული ნაპერწკალი და შეატყოს რომ ოდესმე იქ ანთებულა ლამპარი, მაგრამ მალევე ჩამქრალა და დაუტოვებია თავის სახსოვრად ცოტა რამ კვალი.

ამ უგზო-უკლობაში, გაურკვეველობაში თქვენ შეამჩნევთ და გამოარჩევთ რაღაც საზოგადო და უმთავრესს მათ ლტოლვილების საგნებსაც, რომლებსაც ისინი თავიანთ „პრინციპებს“ ეძახიან. არც ესენია მათთვის განსაზღვრულნი და გარკვეულნი, არც ამათა აქვსთ რეალური შინაარსი, მაგრამ მაინც ისინი თავიანთ რელიღიურ კულტებათ ხდიან და თაყვანსა სცემენ მათ. და ან როდის ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში ისტორიკური საგნები გაღმერთებისა და თაყვანის ცემისა რეალური და ჭეშმარიტი შინაარსიანნი?

პირველი ამ კულტთაგანი არის სიტყვა და სახელი: ქართველი. მე გარწმუნებთ თქვენ, რომ ეს არის მათთვის მათ წარმოდგენაში ცარიელი სიტყვა, უშინაარსო, უაზრო, ეს არის მისტიკურ ხმათა კრება, რომელსაც არა აქვს მათ გონებაში არა ვითარი შესაფარდებელი საგანი, აზრი. ისინი ამბობენ ამ სიტყვაზედ შემდეგს: ქართველი—ეს არის შემკრებელობითი, დიდებული, ერთიანი აზრი. ამ აზრს ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს. იგი არის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, მაგრამ დიდი ხანია დაირღვა, გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გახდა, და არა საერთო, საყოველთაო მთელი ხალხისა“ მათთვის უმთავრესი მიზანი და საგანი არის—ოღონდ კი ყველას ეს სახელი ერქვას, ოღონდ კი ის აფარებდეს თავადსა და გლეხს, ვაჭარსა და მღვდელს, მაღალსა და დაბალს, ღარიბს და მდიდარს მოსამართლეს და ქვეშევრდომს, გაჭირვებულს და ძლიერს, მყელეფელს და გაყველეფილს—ოღონდ ყველა ამ საგნებს, ყველა ამ სოციალურ ელემენტებს აფარებდეს ერთი სახელი, და სხვა არაფერი საჭირო არ არის; მაშინ იქნება დამყარებული ჩვენს ცხოვრებაში ნამდვილი ბედნიერება, ნეტარება, სასუფეველი.

როცა ამ „პრინციპის“ წვერზედ უდგასთ ფეხი და იქიდამ დასცქერიან ახლანდელ მღელვარე ცხოვრების ოკეანეს, მის ტალღებში მოფართხალე კაცს, რომელიც აღარც იხრჩობა და ველარც ნაპირზედ გამოსულა, როცა ამ მაღალ საგანზედ ამბობენ თავიანთ იერემიადებს, მაშინ კიდე რაღაც სიმრგვალე, სილამაზე და სიმაღლე აქვს მათ აზრებ; მაგრამ როცა კვერცხს გასტეხავენ და ნაჭუჭს შემოაცლიან, როცა გამოაჩენენ შუაგულ ამ „პრინციპისას“, მის შედეგს, პრაკტიკულად ასრულებს—მაშინ არის მეტად სასაცილო და სამწუხარო მათი „დიდებული“ აზრი“.—წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე ჩვენი მამულის კუთხეში განაგებს ხალხის მშვიდობიანობას რომელიმე პირი, ალბეჭდილი სისხლით და ხორცით ამ „დიდებული აზრით“, ე. ი. ქართველი ლუარსაბის ბაბისა. წარმოიდგინეთ, რომ ის თავის გამგეობაში წარმოგვიდგენს იმ ურნდელ დიამბეგებს, რომლებიც ძალიან მტკიცეთ ახსოვთ გლეხებს. ვსთქვათ, რომ ნამდვილად შეიტყვე ყველა ის საძაგლობა, რასაც ის სჩადის თავის სახელოში და გაბედე როგორმე მისი მოქმედების გამოაშკარება. შენს დუშმანს დაადგეს ის დღე, რასაც შენ დაგაყენებენ ზემოთ ნახსენების კულტის პატივის მცემელნი. „აი შე ურწმუნო! მამულის ორგულო და მოღალატე! როგორ გაბედე ამისთანა საქმე! როგორ არ იცი შენ, რომ ის ქართველია, ქართველი, და მის სიცუდეს რომ შეიტყობენ, მოაცლიან თავის სახელო ხალხს და მის მაგიერათ სხვას ვისმე დააყენებენ? როგორ არ იცი, რომ ეს არის ენა-ტანიობა, მაბეზღროობა, რომელსაც ჩაიდენს მარტო ცუდი, ორგული და დაქრთამული კაციო“... ამისთანა მაგალითები მკითხველს ათიათასობით შეუძლიან გაიხსენოს, და ეს მაგალითები, სხვათა შორის, ნათლათ უჩვენებენ, თუ რა სიძლიერე, სინამდვილე და საფუძვლიანობაა ამ უბედურ „პრინციპში“.

გ. უთურგული

(გაგრძელება იქნება)

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

მერვე კარი

„ყარამანიანისა“

კუკიის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზოევის დუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III, IV, V, VI და VII კარი ყარამანიანისა

ფასი 40 კაპ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხმა მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 4 მაისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	—
ფქვილი წითელი . . .	1	70
ქერი ფუთი	1	20
ბამბა მრეველისა, ფუთი .	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	40
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	9	60
მატყლი თუშური ფუთი.	6	—
— თარაქამისა ფუთი . .	3	30
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ძონი, ფუთი	5	80
ძონის სანთელი ფუთი .	7	—
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	50
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	30
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	60
ხეთი ქუნგუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ნაშუალო ფთ.	7	20

თფილისის სამკურნალო.

ქრევნს მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუნარიანც—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუნარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 5 мая 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.